



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) Translation and Intercultural Studies (based on Georgian and English Languages)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი თარგმანმცოდნეობის მაგისტრი/ Master of translation studies სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრი თარგმანმცოდნეობაში / Master of Research in translation studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 40 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფ. ინესა მერაბიშვილი
პროგრამაზე წინაპირობა დაშვების	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: ○ ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; ○ სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ინფორმაცია; ○ ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. • შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში; • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • წერითი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (თარგმანის თეორია); • პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ თარგმანმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია: პროგრამის მიზანია ფართო პროფილის მთარგმნელის (ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე), აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის მომზადება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის: • თარგმანის თეორიის, პრაქტიკის, ინგლისური ენისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში სისტემური ცოდნით აღჭურვას; • წერილობითი და ზეპირი თარგმანის, ტექსტის ანალიზის, რედაქტირებისა და პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკული უნარების განვითარებას; • კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებას ადგილობრივ და საერთაშორისო გარემოში, ეთიკური სტანდარტების დაცვით.



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია: პროგრამის მიზანია სტუდენტებში კვლევითი და აკადემიური საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების განვითარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის: • თარგმანის, კულტურათაშორისი კომუნიკაციის, ინგლისური კულტურისა და ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობების სფეროებში კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის დაუფლებას; • დამოუკიდებელი და ინტერდისციპლინური კვლევების დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ანალიზისა და სამეცნიერო წყაროების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას; • კვლევის შედეგების აკადემიური სტანდარტების შესაბამისად წარმოდგენის, პროფესიულ და სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებას.
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (თარგმანმცოდნეობა). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა შესაბამისად. თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ორივე ნაწილის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
<i>ა) ცოდნა და გაცნობიერება</i>	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული თარგმანმცოდნეობის მაგისტრი • სისტემურად და სიღრმისეულად ფლობს ემპირიული (თარგმანის) მასალის ანალიზის, შედარების, ინტერპრეტაციისა და შეფასების თეორიულ საფუძვლებსა და კრიტერიუმებს. • სიღრმისეულად იცნობს ინგლისურ და ქართულ ენებს შორის თარგმანის პრინციპებს, სტრატეგიებსა და მოდელებს; აცნობიერებს დარგობრივი ტექსტების დეკოდირების, დიფერენცირებისა და სამიზნე ენაზე ადეკვატური გადატანის თავისებურებებს



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ) უნარები	• სისტემურად და სიღრმისეულად ანალიზებს, ადარებს, ინტერპრეტირებს და აფასებს ემპირიულ (თარგმანის) მასალას შესაბამისი ანალიტიკური მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით. • იყენებს ინგლისურ და ქართულ ენებს შორის თარგმნის პრაქტიკულ უნარებს; ახორციელებს დარგობრივი ტექსტების დეკოდირებას, დიფერენცირებას და მათ ადეკვატურ გადატანას სამიზნე ენაზე. • იყენებს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში არსებულ კვლევით მეთოდებს, მიდგომებსა და თეორიულ პარადიგმებს პრაქტიკულ კვლევით საქმიანობაში და კრიტიკულ შეფასებაში. • ანალიზებს, აერთიანებს და ინტერპრეტირებს ემპირიულ და თეორიულ მონაცემებს და აყალიბებს დასკვნებს. • იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და ეფექტურად წარადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით პროფესიულ და აკადემიურ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• პროფესიულ საქმიანობაში იცავს აკადემიური ეთიკის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს; • ავლენს ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნებისადმი პატივისცემას, კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას პროფესიული ამოცანების გადაწყვეტისას;
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული თარგმანმცოდნეობის კვლევის მაგისტრი • იცნობს და აღწერს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში გამოყენებულ კვლევით მეთოდებს, მიდგომებსა და თეორიულ პარადიგმებს; აცნობიერებს მათ გამოყენების მიზნებსა და კრიტერიუმებს. • აცნობიერებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად პრინციპებს, მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს, კვლევით ინსტრუმენტებსა და თანამედროვე ტექნოლოგიების როლს. • იცნობს და აცნობიერებს ემპირიული და თეორიული მონაცემების ანალიზის, სინთეზისა და ინტერპრეტაციის ძირითად პრინციპებს; აქვს წარმოდგენა მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების ლოგიკაზე. • იცნობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და კვლევის შედეგების აკადემიური კომუნიკაციის სტანდარტებს



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	წერილობითი და ზეპირი ფორმით წარდგენის კონტექსტში.
ბ) უნარები	• კრიტიკულად აფასებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში არსებულ ემპირიულ და თეორიულ კვლევებს, ახდენს მათ სინთეზირებას და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს შესაბამისი ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით. • იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში დამკვიდრებულ კვლევით მეთოდებს, პროცედურებსა და ანალიტიკურ ინსტრუმენტებს პრაქტიკულ კვლევით საქმიანობაში. • კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ავლენს პრობლემებს, იძიებს მათი გადაჭრის ახალ და ორიგინალურ გზებს და შეიმუშავებს კვლევაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. • ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამეცნიერო ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და კვლევის შედეგების გავრცელების მიზნით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ავითარებს სწავლისა და კვლევის უნარებს აკადემიური კარიერის დაგეგმვის, ცოდნის გაღრმავებისა და მისი გავრცელების მიზნით აკადემიურ და ფართო საზოგადოებაში; • დამოუკიდებლად გეგმავს, ორგანიზებას უწევს და მართავს სასწავლო და კვლევით პროცესს; • აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ახორციელებს კვლევით საქმიანობას და პასუხისმგებლობას იღებს მიღებული შედეგების სანდოობასა და ეთიკურობაზე; • ფლობს იმ ავტონომიურ უნარებს, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის გაგრძელებას შემდგომ აკადემიურ საფეხურზე და დამოუკიდებელი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს: 1. ვერბალური მეთოდი; 2. წერითი მუშაობის მეთოდი; 3. პრაქტიკული მეთოდი; 4. შემთხვევის ანალიზი (Case study); 5. ინდივიდუალური მუშაობა; 6. ჯგუფური მუშაობა; 7. ევრისტიკული მეთოდი; 8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; 9. ქმედებაზე დაფუძნებული სწავლება;



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	10. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; 11. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; 12. ახსნა-განმარტებითი მეთოდი; 13. წიგნზე მუშაობის მეთოდი; 14. გამოცდილებით (experiential) სწავლება. 15. პრეზენტაციის მომზადება
შეფასების სისტემა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სახის შეფასების სისტემა: ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება: • ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; • ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: (A) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (B) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F – 0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს <u>არანაკლებ 21 ქულა</u>. გამოცდა ჩატარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%.



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასაქმების სფეროები	მაგისტრი დასაქმდება, როგორც მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი, რომელსაც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეეძლება ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა, აგრეთვე, როგორც სტილისტ-რედაქტორმა, იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყოს სათანადო თარგმანი. კერძოდ, პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: * სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები; * საელჩოები; * სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები; * მთარგმნელობითი ბიუროები; * ფონდები; * კომპანიები; * სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; * ბიბლიოთეკები; * გამომცემლობები; * მასმედია; * ტურიზმის სფერო და სხვ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ადამიანური რესურსი: 1. ინესა მერაბიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი 2. ელგუჯა ხინთიბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი; 3. ლელა ებრალიძე, ფილოლოგიი დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი; 4. ნათია ამირეჯიბი, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი 5. ნუგზარ რუხაძე, პედაგოგიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი 6. ელისო გოდუაძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი 7. ვალერია ფურცელაძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი მატერიალური რესურსი: სამაგისტრო პროგრამა „თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)“



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	მომზადებულია და ფუნქციონირებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სრულად უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანის კაბინეტი, თსუ, მე-5 კორპუსი. სალექციო კაბინეტი უზრუნველყოფილია სათანადო დარგობრივი ბიბლიოთეკით (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლებითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც თსუ-ს კომპიუტერებიდან, ისე თსუ-ს გარედან, საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით. თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სამაგისტრო პროგრამის „თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)“ ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	